

# სედიმენტაციური ტექსტურები

*ნინო კობახიძე*

ელ-ფოსტა: [ninokobakhidze988@ens.tsu.edu.ge](mailto:ninokobakhidze988@ens.tsu.edu.ge)

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
უნივერსიტეტის ქ. 13

სედიმენტაციური ტექსტურა დანალექი ქანების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ისინი გამოვლენილია შრის ზედა და ქვედა ზედაპირებზე და ასევე შრის შიგნით. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ დალექვის პირობები, პროცესები, იმ ნაკადების მიმართულება, რომელმაც გამოიწვია სედიმენტის დალექვა და დავადგინოთ დანაოჭებული ქანების არეალში შრის ასაკები.

სედიმენტაციური ტექსტურა ძალიან მრავალფეროვანია და უმეტესობა ვლინდება ნებისმიერ ლითოლოგიურ ქანში. ისინი ვითარდება ფიზიკური და/ან ქიმიური, ბიოგენური პროცესების შედეგად, დალექვის დრომდე, დალექვის პერიოდში და შემდეგ. შესაძლებელია სედიმენტაციური ტექსტურების ხუთ კატეგორიად დაყოფა: ეროზიული, დალექვისდროინდელი - ნებისმიერი ტიპის სედიმენტისთვისაა დამახასიათებელი, დალექვისდროინდელი - ძირითადად კირქვებში, დალექვისშემდგომი/დიაგენეტიური და ბიოგენური.

სედიმენტაციური ტექსტურები თამაშობს მნიშვნელოვან როლს სედიმენტაციური პროცესების ინტერპრეტაციაში, რომელიც საწყისი წერტილია ნალექდაგროვების გარემოსა და პალეოგეოგრაფიის რეკონსტრუქციაში. აქედან გამომდინარე ამ ნაშრომს აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა, როგორც გეოლოგიური (ლითოლოგიური, სედიმენტაციური) თვალსაზრისით, ისე მათ კვლევას მოაქვს ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ასპექტები, ხშირად უნიკალური გზები, რომელთა სწავლა მოითხოვს დაკვირვების, წარმოსახვის და მეცნიერული მიდგომების კომბინაციას, რაც საბოლოოდ გვაძლევს შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ კითხვაზე პასუხი: თუ რა ხდება ჩვენ გარშემო, სამყაროში.

## ლიტერატურა:

[1] Collinson, J. D., N. Mountney, D. B. Thomson, 2006, Sedimentary Structures, 3<sup>rd</sup> edition, London, Uk.

[2] Tucker M. E, 2003, Sedimentary Rocks in the Field, 3<sup>rd</sup> edition, John Wiley and Sons, Uk.